პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 აგვისტო სამშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 40-ე წელი • № 192 (14492)

კოლმეურნეთა ყრილობის შესახებ

PRAVDA

18 აგვისტოს მოწინავე

ედ აძაბული შრომაა ახლა საკოლმეურნეო სოფელში. თვითეული სამუშაო საათი ძვირფასია, და მიწათმოქმედნი აისიდან დაისამდე უსხედან მოსავლის ასაღები აგრეგატების შტურვალებს, შრომობენ კალოებზე, სატრანსპორტო ბრიგადებში, ცდილობენ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, საკმაო რაოდენობით დაამზადონ საკვები, წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოს გეგმა-შეკვეთა, დროულად დათესონ საშემოდგომო კულტურები, საიმედო საფუძველი მაუყარონ მომავალი წლის მოსავალს.

ერთსულოვან და ნაყოფიერ შრომას ეხმარება ყველგან გაშლილი მზადება კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისათვის, რომელიც, როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ნოემბერში იქნება მოწვეული, სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების პროექტის ფართო განხილვა.

როგორც უკვე იტყობინებოდა ცენტრალური პრესა, ახალი წესდების პროექტის შემმუშავებელმა კომისიამ დაამტკიცა დებულება კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატების არჩევნების წესის შესახებ. სექტემბრიდან ნოემბრის პირველ ნახევრამდე მოეწყობა კოლმეურნეთა წარმომადგენლების რაიონული კრებები, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო და ასს რესპუბლიკების კონფერენციები და მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეთა ყრილობები. მანამდე მოეწყობა კოლმეურნეთა საერთო კრებები, რომლებიც განიხილავენ წესდების პროექტს და დასახელებენ თავიანთ წარმომადგენლებს არტელების რაიონულ კრებებზე. საჭიროა პარტიულმა კომიტეტებმა ახლავე იზრუნონ ამ კრებების, კონფერენციებისა და ყრილობების ორგანიზებულად ჩატარებისათვის, რათა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებად აირჩიონ ღირსეულთაგან ღირსეულნი.

არტელის ახალი წესდების პროექტი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია. მისი მიღება ხელს შეუწყობს კოლმეურნეობების შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებას, მეურნეობის მართვის დემოკრატიული საფუძვლების სრულყოფას, გლეხების მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულ დაკმაყოფილებას. როცა პროექტს სწავლობენ და განიხილავენ, სოფლის მშრომელები სიამაყით ლაპარაკობენ ლენინური კოოპერაციული გეგმის გამარჯვებაზე, საკოლმეურნეო წყობილების ძალასა და სიმტკიცეზე, იმიტომ უფრო იმსჭვალებიან თავიანთი არტელის პატრონის გრძნობით, უფრო ღრმადა აქვთ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა მისი ეკონომიური მდგომარეობისათვის, საზოგადოებრივი სიმდიდრის — მათი მატერიალური კეთილდღეობის საფუძვლის — გადიდებისათვის.

არტელის ახალი წესდების პროექტის განმარტებასა და განხილვას ყველგან თან სდევს კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ზრდა, მათი ზრუნვის გაძლიერება სოფლის მეურნეობის საკითხების დარგში პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. პარტიული ორგანიზაციები მთელ თავიანთ საქმიანობას ამბარენ იმას, რომ ყოველი ღონისძიებით მხარი დაუჭირონ და განვითარონ ეს აქტივობა და ინიციატივა, შექმნან სოფლად საყოველთაო მისწრაფება, რომ ახალი სამეურნეო წარმატებებით აღნიშნონ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობა.

ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევიან, კერძოდ, პარტიის კიევის საოლქო კომიტეტი, ოლქის სასოფლო რაიკომები და კოლმეურნეობათა პირველადი პარტორგანიზაციები. აქ წესდების პროექტს ყოველმხრივ განმარტავენ და განიხილავენ ოვითეულ ბრიგადაში, თვითეული ფერმის კოლექტივში, მექანიზატორთა რგოლში. კოლმეურნეები ითვალისწინებენ საკოლმეურნეო ცხოვრების გამოცდილებას, დამკვიდრებულ პრინციპებსა და ნორმებს და შეაქვთ წინადადებები, რომლებსაც მხედველობაში იღებენ და განაზოგადებენ რაიონსა და არტელებში შექმნილი სპეციალური კომისიები. 4.500-ზე მეტი აგიტატორი, პოლიტინფორმატორი და პროპაგანდისტი აწყობს საუბრებსა და მოხსენებებს წესდების შესახებ, იმის შესახებ, თუ რა უდიდესი გარდაქმნები მოხდა სოფლად კოლექტივიზაციის შემდეგ.

კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობისათვის მზადებას ყველგან დიდი ადგილი უჭირავს სოფლის კომუნისტთა ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში. ისინი იყენებენ პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის სხვადასხვა ფორმებს და ცდილობენ არტელის ახალი წესდების პროექტის შინაარსი გააცნონ თვითეულ მშრომელს. ამასთან კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები აძლიერებენ კონტროლს მეურნეობის მართვის დამკვიდრებული დემოკრატიული პრინციპების დაცვისადმი, ააქტიურებენ კოლმეურნეობათა გამგეობების, სარევიზიო კომისიების, ბრიგადების საბჭოების საქმიანობას.

კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევა ემთხვევა ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს—წარმოების საარტელო ორგანიზაციაზე გლეხების მასობრივი გადასვლის დაწყების მეორმოცე წლისთავს. საბჭოთა გლეხობის მიერ განვლილი გზის სიდიადე ყველაზე სრულად უნდა გაშუქდეს არტელის წესდების პროექტის განხილვის დროს. ლექციებში, მოხსენებებსა და საუბრებში, სხვადასხვა საქმოებსა და შეხვედრებზე, რომლებიც არტელის წესდებას ეძღვნება, საჭიროა მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გავაშუქოთ ის დიადი გარდაქმნები, რომლებიც განახორციელა კომუნისტურმა პარტიამ საკოლმეურნეო მშენებლობის წლების მანძილზე საბჭოთა სოფლის ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. დე სოფლის მშრომელებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, კონკრეტული მაგალითებით ადევნონ თვალი თავიანთი კოლექტიური მეურნეობის ისტორიას, ნახონ, თუ რა უდიდესი ცვლილებები მოხდა მის ეკონომიკაში, ტექნიკის აღჭურვაში, წარმოების კულტურაში, სამიწათმოქმედო შრომის ხასიათში, გლეხის ყოფა-ცხოვრებასა და ოვით მის სახეში. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ, კინომ. ეს მათი მოწოდებაა.

კოლმეურნეობები — ეს არის ის მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შესახებ ლენინური ოცნების რეალური განსახიერება, რომელსაც საფუძვლად უდევს თანამედროვე აგროტექნიკური და ზოოტექნიკური მეცნიერება, მანქანური ტექნიკა და ელექტრიფიკაცია, ამხანაგობისა და ურთიერთდახმარების პრინციპები. ისინი შეიცავენ ამოუწურავ შესაძლებლობებს წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, მისი რენტაბელობის ამაღლებისათვის. ამ შესაძლებლობათა უკეთ გამოყენებას კარგად შეუწყობს ხელს პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა ახალი წესდების პროექტის დებულებათა განმარტებისათვის. საჭიროა, რომ კოლმეურნე კომუნისტები, — ისინი კი ორ მილიონზე მეტია, — ყოველდღიურად ეხმარებოდნენ ისინი კი ორ მილიონზე მეტია, — ყოველდღიურად ეხმარებოდნენ მშრომელებს არა მარტო იმაში, რომ გაერკვნენ თავიანთ მოვალეობებსა და უფლებებში, არამედ კიდევაც ახორციელებდნენ მათ ნებას, გვიჩვენებდნენ მუშაობის მეურნის პირად მაგალითს, მზრუნველობით იყენებდნენ იმ უდიდეს სახსრებსა და მასალებს, რომლებსაც სოფელს აწვდიან სახელმწიფო, მუშათა კლასი.

წესდების პროექტის ფართო განხილვება გაზდა საკოლმეურნეო წყობილების დიადი საქმეებისა და ამოუწურავი შესაძლებლობების საყოველთაო-სახალხო დათვალიერება. იგი განუმტკიცებს ჩვენს გლეხობას საკუთარი ძალების რწმენას და რაზმავს მას ახალი შრომითი მოღწეულებისათვის.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოების ქარხნის საქსოვ საამქროში ბევრი მოწინავე მუშა მრომობს. მათ შორის არის ციცინო ჯანჯღაშვილი. ქალიშვილი აქ რუსთავის № 16 პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა და თავდადებული შრომით კოლექტივის წევრთა სიყვარული და პატივისცემა დაიმახსოვრა. ქალიშვილი ლენინურ შრომითს ვახტზე დგას და დღიურ ნორმას ყოველთვის 120 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ციცინო ჯანჯღაშვილი.

ფოტო რ. პაპარიგასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

მაღალი ხარისხისათვის

გამოვუშვათ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია. ამ დევიზით შრომობენ № 6 სამკერვალო ფაბრიკის მკერავები. ცვლები და ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან ნაწარმის საუკეთესო ხარისხისათვის. 96-97 პროცენტი — ხარისხის ასეთი მაღალი მაჩვენებელი ახლა აქ შემთხვევითი რიდია. ოსტატების ა. დეკანოსიძის, კ. გაფრინდაშვილის და მ. კვიცაძის ცვლების გამოცდილ ე ბ ა ს მთელ ფაბრიკაში იზიარებენ.

მკერავები, რომლებიც ვ. ი. ლენინის დაბადების შრომითს ვახტზე დგანან, პროდუქციის ხარისხთან ერთად განუხრელად ზრუნავენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. 1966 წელთან შედარებით უკვე 32 პროცენტით ამაღლდა საწარმოს შრომისუნარიანობა. რატომ გახდა კერგის პროცესები.

მიმდინარე წლის 7 თვეში აქ გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასობით მანეთის პროდუქცია, მომხმარებელმა მიიღო ორი ახალი სახის ნაწარმი. ფაბრიკის კოლექტივის ვალდებულებაა წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის გადაჭარბოს. („კომ“. კორ.).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

თბილისის კინოსაკონცერტო დარბაზის მშენებლობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი თბილისის კინოსაკონცერტო დარბაზის მშენებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ მშენებლობა უაღრესად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამოხსაკეთ და სპეციალურ სამუშაოთა სამმართველომ ვერ უზრუნველყვეს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება. თბილისის საკალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტმა დროულად არ შეიმუშავა სამუშაო ნახაზები და ხარჯთაღრიცხვები, დამამზადებელმა ქარხნებმა დადგენილ ვადებში არ შესრულეს არასტანდარტული მოწყობილობის შეკვეთები. ამის შედეგად ჩაიშალა კინოსაკონცერტო დარბაზის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა, რომელიც 1969 წელს იყო გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა კინოსაკონცერტო დარბაზის საექსპლოატაციოდ გადაცემის ახალი ვადა — 1970 წლის დეკემბერი. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიეცათ წინადადება შემუშაონ და განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობის ტემპის დაჩქარებას. პირველ ნოემბრამდე უნდა შესრულდეს 1969 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 1.247 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო მიმდინარე წლის დამლევამდე დამატებითი დავალება 226 ათასი მანეთის ოდენობით. ამ დროისათვის უნდა დამთავრდეს ყველა სამუშაო სახელმწიფო არქივის თეთმეტ სართულზე. რათა იქ გადაიტანონ მასალები და ქონება დასანგრეთ შენობიდან, რომელიც დგას კინოსაკონცერტო დარბაზის მშენებლობის ტერიტორიაზე.

მიმდინარე წლის დამლევამდე „საკლიფტმონტაჟის“ ტრესტის ამერიკაკავკასიის სამონტაჟო სამმართველომ უნდა დაამთავროს ლიფტების მონტაჟი, „იუვმონტაჟავტომატიკის“ ტრესტის სამმართველომ კი ავტომატიზაციის სამუშაოები მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინომშეკეთებელმა სახელოსნომ უნდა უზრუნველყოს ტელევიზიო და კინოაპარატურის, დარბაზების გახმოვანების აპარატურისა და სინქრონული თარგმანის, რადიო-და ტელესატრანსლაციო პუნქტების ყველა ფარული კომუნიკაციების გაყვანა.

საქართ�ველოს სსრ მინისტრთა საბჭომ წინადადება მისცა „იუჟსტალკოსტრუქციის“ სამონტაჟო სამმართველოს, თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკის სპეციალურ სამონტაჟო სამმართველოს, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას, რუსთავის სამშენებლო-საგზაო მანქანებისა და ლითონკონსტრუქციების ქარხანას, რუსთავის მეტალურგიულ, ქუთაისის საავტომობილო და თბილისის ჩარხსამშენებელო ქარხნებს, სახეხი ჩარხებისა და ტელეგრაფის აპარატების ქარხნებს, ფოლადთუჯსამსმელო ქარხანას, თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას, კასპის ელექტროაპარატების ქარხანას, ციდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანას, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას, თბილისის ხელსაწყოებისა და ავტომატიკის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელ ქარხანას, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს შახტების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს მაქსიმალურად გაააქტიურონ სამუშაოები თბილისის კინოსაკონცერტო დარბაზის შეკეთებისა და მშენებლობის შესასრულებლად, უზრუნველყონ მასალების მიწოდება დანიშნულ ვადებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ წინადადება მისცა კინოსაკონცერტო დარბაზის მშენებლობაში უშუალოდ მონაწილე ყველა ორგანიზაციასა და საწარმოს დასაბონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ მშენებლობის დამთავრება დანიშნულ ვადაზე. (საქდესი).

მედიკთა საერთაშორისო ფორუმი

მოსკოვი, 18 აგვისტო. (საქდესი). გუშინ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გაიხსნა მე-12 საერთაშორისო კონგრესი სისხლის გადასხმის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობენ მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები.

ტრანსფუზიოლოგთა მე-12 საერთაშორისო კონგრესი გახსნა მისმა საპატიო პრეზიდენტმა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა აკადემიკოსმა ბ. ვ. პეტროვსკიმ.

აკად. ბ. ვ. პეტროვსკიმ წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მისასალმებელი წერილი მე-12 საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებისადმი.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის მისალმებას კონგრესის მონაწილეები ერთსულოვნად შეხვდნენ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კონგრესის პრეზიდენტმა, პროფესორმა ა. ე. კისელიო

ეძღვნება ბელადს

ლექციები, სალამოები, გამოფენები...

ბაკურიანი. მოეწყო ლექციების ციკლი ვ. ი. ლენინის ეკონომიური მოძღვრების შემსწავლელთა დასახმარებლად.

ლექცია თემაზე — „ეკონომიური მეცნიერების განვითარების ლენინური ეტაპი და თანამედროვეობა" — წაიკითხა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. მელქაძემ.

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ნანიტაშვილის ლექციის თემას შეადგენდა — „მარქსიზმ-ლენინიზმი ლირებულებისა და ფასების კატეგორიების შესახებ". „ვ. ი. ლენინი მომჭირნეობის შესახებ და საზოგადოებრივი ეფექტურობის ამაღლების საკითხები" — ასეთი ლექცია წაიკითხა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ბაკრაძემ.

„იმპერიალიზმი და თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის ლენინური თეორია", „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური თეორია და საბჭოთა საქართველოს სამრეწველო განვითარება", „ეკონომიური რეფორმა და სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების შემდგომი განვითარება", „ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელება და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება" — ეს თემები, რომლებიც გააშუქეს მეცნიერმა მუშაკებმა ნ. ხუციძემ, ჭ. მოლაშვილმა, გ. ყუფუნამ, ო. ვაშაკიძემ.

ჰ. შარაბიძე.

სიღნაღი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მორიგი სამეცნიერო სესია მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი საიუბილეო მზადებას. მოსმენილ იქნა მოხსენებები თემებზე: „ვ. ი. ლენინის ცხოვრების გზა" (ს. ერისთავი), „ვ. ი. ლენინის ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის" (შ. ზალაყვილი), „ვ. ი. ლენინი ქართულ საბჭოთა პოეზიაში" (ლ. ნარიმანოვი).

ბ. ყაჯრისშვილი.

ბორი. საინტერესოდ ჩაიარა სამეცნიერო სესიამ თემაზე „ვ. ი. ლენინი რელიგიის შესახებ". მოხსენებები წაიკითხეს დოცენტებმა ვ. ბავლიაშვილმა, დ. გეგეშიძემ და მეცნიერმა მუშაკმა თ. მენაბდიშვილმა.

რ. სამადაშვილი.

ბბაშა. აქ გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებით „ვ. ი. ლენინი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შესახებ" გამოვიდა პროფესორი ი. ბალანჩივაძე. შინაარსიანი იყო აგრეთვე ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის დ. ბერეჭიაშვილის მოხსენება „ვ. ი. ლენინი სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების შესახებ", დოცენტ ბ. გიორგაძის მოხსენება „ვ. ი. ლენინის მიერ „ნიადაგის კულტურული ნაყოფიერების კანონის" კრიტიკა და მისი თანამედროვე მნიშვნელობა".

პარტიის ბბაშის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ჩაგუნავა კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით „ბბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები".

ი. თოფურია.

დუშეთი. დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა თეორიული კონფერენცია, რომელიც ბარისახოში გამართა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრამ.

კონფერენციაზე დამსწრე ორასზე მეტმა კაცმა დიდი ყურადღებით მოისმინა მოხსენებები თემებზე: „ლენინი კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და ბელადი", „ლენინი სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ", „ლენინი საქართველოს შესახებ", „ლენინი და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში", „ლენინი კომუნისტური მორალის შესახებ" და „ლენინი ახალგაზრდობის შესახებ".

მოხსენებებით გამოვიდნენ დოცენტი ბ. დარჯანია, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ჩიხლაძე, მეცნიერი მუშაკები შ. სულთანიშვილი, გ. პატარაია, შ. გოგინაშვილი, ვ. კვლელაშვილი.

ბ. ხირნაული.

წყალტუბო. „ხალგუმბრინის" მაღაროთა სამმართველოში მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „შევინარჩუნოთ ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობა". მოხსენებები წაიკითხეს რ. ცხაკაია — „ლენინი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი და ხელმძღვანელი", ვ. დარდაგანიძემ — „ვ. ი. ლენინი და ოქტომბერი", შ. გენძეხაძემ — „ლენინი ადამიანობისა და უბრალოების შესახებ".

თ. კინწურაშვილი.

გეგეჭკორი. იმართება ლენინური საღამოები, რომლებსაც აწყობენ პარტიის რაიკომის იდეოლოგიური მუშაობის კომისია და კულტურის სახლი. უნივერსიტეტის რექტორატი.

პირველი საღამო დაიწყო პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ნ. ჩხოლარიას მოხსენებით: „ვ. ი. ლენინი ოქტომბრის ბელადი". საღამოზე მოსმენილ იქნა ფირზე ჩაწერილი ვ. ი. ლენინის ხმა. გამოვიდნენ მხატვრული მკითხველები და მოდელირებენ ლექციებით და სიმღერებით ლენინსა და პარტიაზე. უჩვენეს კინოსურათი „ვ. ი. ლენინის მეგობარი მიხა ცხაკაია".

მეორე საღამოზე მოსმენილ იქნა საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის მეორე მდივნის გ. ბახიას მოხსენება: „ვ. ი. ლენინი სკკპ ორგანიზატორი და ბელადი". ვ. ი. ლენინის შესახებ, აგრეთვე სამოქალაქო ომის ეპიზოდებზე მოგონებით გამოვიდა ძველი რევოლუციონერი ირ. ლაშხი.

გ. ელიავა.

ბიაკოვსკი. სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ რაიკო

საერთაშორისო ცხოვრება

გმოობენ ჩინელ პროვოკატორებს

სანტიაგო, 18 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გაზეთმა „ნიკლომ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ებმის ჩინეთის ხელმძღვანელთა გამთიშველ საქმიანობას საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში და მარქსიზმ-ლენინიზმისაგან მათს ჩამოშორებას.

სტატიის ავტორი როდრიგო როხასი ამხილებს მაოისტთა პროვოკაციებს საბჭოთა საზღვარზე. იგი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო თვეებში მაო ძე-დუნმა და მისმა დამქაშებმა „დაიწყეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო პროვოკაციების აწყობა და საშიში ესკალაცია“.

როდრიგო როხასი აღნიშნავს, რომ დაძაბულობა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობაში გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ჩინეთის მოქმედებით.

პარიზი, 18 აგვისტო. (საკდესი). „ახალი ინიციატივა, რომელიც პრეზიდენტ ალენდეს ჩინეთის სამხედრო მოსამსახურეთა შეჭრამ საბჭოთა ტერიტორიაზე ყაზახეთში, უფრო აძლიერებს იმ შეშფოთებას, რომელსაც ამ ბოლო წლებში იწვევს პეკინის ხელმძღვანელთა მოქმედება“, — წერს ყოველკვირეული „ლუმანიტე დიმანშის“ პოლიტიკური მიმოხილველი ივ მორო.

მაო ძე-დუნის ჯგუფის პროპაგანდის ამოჩემებული თემაა ანტისაბჭოურობა და აღვირახსნილი შოვინიზმი, წერს მორო. საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას პეკინი უყენებს ტერიტორიულ პრეტენზიებს, რომლებიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ.

ივ მორო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მთომნება და თავშეკავება კონტრასტულად უპირისპირდება „პეკინის ყოყოჩობას“.

ტელმანის ანდერძის ერთგულნი

ბერლინი, 18 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის მუშათა კლასის ბელადის, მეზობლობრივ ინტერნაციონალისტი რევოლუციონერის, სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლის, 25 წლის წინათ ფაშისტ მკვლელთა ხელით დაღუპული ერნსტ ტელმანის ანდერძი სინამდვილედ იქცა გერმანელ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში, ხაზს უსვამენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები.

ბერლინში, კარლ მარქს-შტადტსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში იმართება ერნსტ ტელმანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი. ეიაბარში გერმანიის მშრომელთა ბელადის ხსოვნის პატივსაცემად ჩამოვიდნენ დასავლეთგერმანელი მუშები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ნაციზმის აღორძინების საფრთხეა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რის წინააღმდეგაც ტელმანი მტკიცედ და შეურიგებლად იბრძოდა.

მხოლოდ ფაქტები

● ჰანოი, 18 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის მეომრებმა გუშინ ჩამოაგდეს ამერიკის უპილოტო თვითმფრინავი, რომელიც შეეჯახა ხაიხაგის პროვინციის საჰაერო სივრცეში, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ამრიგად, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სულ ჩამოგდებულია ამერიკის 2.817 თვითმფრინავი.

● ფნომენიენი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო გვაუწყებინებს, 17 აგვისტოს კანხვის კუნძულზე კორეის სახალხო არმიის მეზღვაურებმა ჩამოაგდეს ამერიკის ვიეტმფრინავი.

● ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკდესი). სან-ანტონიოში (კალიფორნია), სადაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონის საზაფხულო რეზიდენციაა, გუშინ გაიმართა ომის მოწინააღმდეგეთა დემონსტრაცია. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ლოზუნგები: „შეწყვიტეთ ვიეტნამის ომი“, „მინ გამოგიგზავნეთ ამერიკის ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან!“.

● ჰანოი, 18 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს განთავისუფლების პრესის სააგენტოს და იუწყება, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების რაზმები აწარმოებენ წარმატებითს საბრძოლო მოქმედებას ამერიკა-საიგონის ჯარების წინააღმდეგ. 14 აგვისტოს პატრიოტებმა შეუტიეს მოწინააღმდეგის პოზიციებს ქალაქ ლოკნინის (ბინლონგის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი) რაიონში და მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 250 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ომის სანინაააღმდეგო მანიფესტაცია

ვაშინგტონი, 18 აგვისტო. (საკდესი). მაგნუშევსკის პლაცდარმზე ბრძოლის 25 წლისთავის გამო. გუშინ სოფელ სტუდიანკაში გაიმართა ომის საწინააღმდეგო მანიფესტაცია. როგორც პოლონეთის პრესის საგენტო იუწყება, ამ რაიონის ყველა მცხოვრებს მიანიჭონ თანასწორი მოქალაქეობრივი უფლებები. მიტინგის რამდენიმე ასეულმა მონაწილემ ჩაიარა ლონდონის ქუჩებში ინგლისის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციისაკენ და პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელს გადასცა მიღებული რეზოლუცია.

ირლანდიის თხოვნა

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკდესი). ირლანდიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კორნელიუს კრეგმანმა გუშინ სთხოვა უმცროსების საბჭოს თავმჯდომარეს სასწრაფოდ მოიწვიოს საბჭო ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობის დასამყარებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების გაგზავნის საკითხის განხილვისათვის.

ანტისაბჭოური გარიგება

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიაში (ოლტერში) შექმნილი დაძაბული გრძნობების მიზეზი ის არის, რომ „ხელისუფალნი უარს ამბობენ მიანიჭონ ქვეყნის მთელ მოსახლეობას ელექტორატული დემოკრატიული უფლებები“, ნათქვამია ჩრდილოეთ ირლანდიის კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტის განცხადებაში.

როგორც გაზეთი „მორნინგ სტარი“ წერს, აღმასკომის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ოლსტერის კონსერვატიულ მთავრობას ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ადამიანთა მსხვერპლისა და ზარალისათვის, რაც მოელვარეებმა გამოიწვია, რადგან ეს იმის შედეგია, რომ ახლა „მთავრობაში გაბატონდნენ ყველაზე რეაქციული ელემენტები“.

ბრიტანეთის იმპერიალიზმი, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, თავისი აგენტის — ეუნიონისტთა პარტიის საშუალებით ჩაგრავს და თრგუნავს ირლანდიელ ხალხს. ამასთან, ამ ჩაგვრის კლასობრივი არსის შესანიღბავად იყენებენ რელიგიურ შეღებს. ამ ვითარებაში, აღნიშნავს ჩრდილოეთ ირლანდიის კომბატარტის ხელმძღვანელობა, „ახლა განსაკუთრებით საჭიროა ქვეყნის ყველა მშრომელის მაქსიმალური კლასობრივი ერთობა და სოლიდარობა“.

ვითარების მოსაწესრიგებლად, აღნიშნავს აღმასკომი, საჭიროა დაუყოვნებლივ და სრულად შეასრულონ მოთხოვნები, რომელიც წამოყენებულია მოქალაქეობრივი უფლებების დაცვისათვის მოძრაობის პროგრამაში, ავტორეგ გააუქმონ სპეციალური ბრძანებულებანი, კანონი (რომელიც პოლიციას აძლევს უფლებას გოუსწორდეს მოქალაქეობრივი უფლებების დაცვისათვის მოძრაობის მონაწილეებს. — **რედ.**). ჩრდილოეთ ირლანდიის კომპარტიის აღმასკომი მოითხოვს აგრეთვე, რომ დაუყოვნებლივ დამალონ პოლიციის სპეციალური სარეზერვო რაზმები, სამუშაოდან დაითხოვონ ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის უფროსი. კომპარტია მოუწოდებს, რომ გაიმართოს ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესისა და ჩრდილოეთ ირლანდიის პროფკავშირთა გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოების გაერთიანებული სხდომა, რათა განიხილონ შექმნილი ვითარება და საფინანსო დახმარება და სხვა მხარდაჭერა აღმოუჩინონ რეპუბლიკის მსხვერპლთ ოლსტერში.

ჩიჩესტერ-კლარკს ეშინია

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიაში გაგზავნილი ინგლისის ჯარები იქ დარჩებიან „იმდენ ხანს, რამდენსაც ვითარება მოითხოვს“, განაცხადა გუშინ პოლ-კონფერენციაზე ჩრდილოეთ ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ჩიჩესტერ-კლარკმა. იგი თავს დაესხა ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც წამოაყენა მთელი რიგი კონსტრუქციული ღონისძიებანი ჩრდილოეთ ირლანდიაში შექმნილი ვითარების მოსაწესრიგებლად. ჩიჩესტერ-კლარკმა, ეტრედ, გააკრიტიკა ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰილიერის საქმიანობა, რომელიც ნიუ-იორკში ჩავიდა, რათა დაეკითხა საკითხი ჩრდილოეთ ირლანდიის მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევის შესახებ.

ჩიჩესტერ-კლარკს სურს ყველაფერი ეს ჩრდილოეთ ირლანდიაში მომხდარი მოელვარეების ნამდვილ მიზეზებზე, სადაც დემონსტრანტები მოითხოვენ საქმაოს, საბინაო პირობების გაუმჯობესებას, ელექტორატულ მოკალაქეობრივ უფლებებს, და გაანაცხადა, აბლანდელი მოელვარება „იეზუიტ-ექსტრემისტთა“ საქმეაო.

ომის საინაააღმდეგო კონტრასტები

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკდესი). მოსკოვის მეტროპოლიტენი, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, განაცხადა ამერიკის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ჰუბერტ ჰემფრის, რომელიც ამას წინათ საბჭოთა კავშირში იყო. გაზეთ „ბოსტონ გლობში“ გამოქვეყნებულ სტატიაში იგი წერს, რომ მეტროს სადგურები ძალიან სუფთა და კარგადაა განათებული, ჰაერი ყოველთვის კარგია. მატარებლები, მცირე ინტერვალებით დადიან, მგზავრობა იაფია.

ჰუბერტ ჰემფრი ყურადღებას აქცევს მკვეთრ კონტრასტებს საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შეერთებული შტატების საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზაციაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში, წერს იგი, ხარჯები საზოგადოებრივი საქალაქო ტრანსპორტისათვის მეტად ეუმნიშვნელოა. ფაქტიურად ჩვენ ერთადერთი განვითარებული ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც საზოგადოებრივი საკრანსპორტო სისტემა მოიწესრიგებელია მიუხედავად იმისა, რომ 1945 წლიდან მგზავრობის ღირსი ერთისამად გაიზარდა. ხალხი ეტანება ქუჩის მოძრაობის ოტომობილ შეიერებათა ჯამ. ნიუ-იორკის ცენტრალურ ნაწილში, მაგალითად, ავტობუსებისა და მსუბუქი მანქანების საშუალო სიჩქარე საათში 11 კილომეტრია. მეტროს, საკარეტნმნო მატარებლებისა და ავტობუსების მუშაობის ნაკლოვანებანი ზარალს აყენებს ძალიან ბევრ ამერიკელს.

„ალოლონ-11“-ის მთვარეზე შთამბეჭდავი გალრენის მოუხედავად, წერს ჰემფრი, ამ დიდებულ წარმატებაზე, უკან მიეჩანჩალებთ, ვერ შეეჯიბრებით მოსკოვსა და მსოფლიოს მთელ რიგ სხვა ქალაქებს, როცა საქმე ეხება საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მეშაობას.

ისრაელის ახალი პროვოკაცია

არც ერთი დღეთ არ წყდება ისრაელის მხედრიონის პროვოკაციები არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. წუხელ მთელ ღამეს გრძელდებოდა და მხოლოდ დღეს დილის 5 საათსა და 30 წუთზე შეწყდა გაათრგუნელი სროლა სუეცის არხის ზონაში, რომელ დროს გამოიყენეს არტილერია და ტანკები, განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა.

მოგვიანებით, აღნიშნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა, ისრაელის თვითმფრინავთა ჯგუფი შეეცადა თავს დასხმოდა ეგვიპტის პოზიციებს დეგერსუარის რაიონში, მაგრამ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საზენიტო არტილერიამ აეცილებინა გარეკა თვითმფრინავები.

უ. ბლაიბერგი გარდაიცვალა

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). გუშინ კეიპტაუნში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გარდაიცვალა ტბილის ექიმი ფილიბლაიბერგი, რომელმაც 18 ოვე 15 დღე ციცხლს გადანერგილი გულით.

გულის გადანერგვის ოპერაციის შემდეგ, რომელიც 1968 წლის 2 იანვრიდან გაიკეთა პროფესორმა კრისტიან ბერნარდმა, ბლაიბერგის ჯანმრთელობა რამდენჯერმე გაუარესდა. ბლაიბერგი 60 წლისა იყო. იგი გარდაიცვალა იმავე საავადმყოფოში — „ხბოტი სხიურში“, სადაც სხვისი გული გადაუნერგეს. სიკვდილის ზუსტ მიზეზს ჯერ არ იტყობინებიან.

უცხოეთის პრესა აქცენტებს ცნობას, რომ გარდაცვალა ფილიპ ბლაიბერგი, რომელიც 1968 წლის 2 იანვრიდან გადანერგილი გულით ცოცხლობდა. ამასთან დაკავშირებით სიფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ახლა ადამიანი, რომელიც ასეთი ოპერაციის შემდეგ ყველაზე დიდხანს ცოცხლობს, არის ფრანგი მლვდელი ბულონი. გულის გადანერგვის ოპერაცია მას გაუკეთეს 1968 წლის 12 მაისს.

ფრანკის დევალვაცია: მიზეზები და შედეგები

მოგვაქვს საგალუტო-ფინანსური მაგრიზისმა კვლავ შეარყია კაპიტალისტური სისტემა. საფრანგეთის ფრანკის დევალვაციამ 12,5 პროცენტით ამ ბოლო ხანებში აკეთებული გამოიწვია დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქთაგან. „ფრანკის დევალვაცია, — წერდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“, ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაც კრიზისს უქადის“. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სვამს კითხვას: „შეუძლია თუ არა დელიკატურ მეკანიზმს, რომელმაც გაიერთიანა მსოფლიოს ვალუტები, გაუძლოს უკანასკნელ დარტყმას? ინგლისური „ობსერვერი“ აღნიშნავს, თუ რა სერიოზული ეკონომიური და პოლიტიკური შედეგები აქვს პარიზში მიღებულ გადაწყვეტილებას.

ეს გამონათქვამები ასახავენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის რეალურად არსებულ წინააღმდეგობებს, მათ შორის სამრეწველო და სავაჭრო კონკურენციის გაძლიერებას.

